შიდაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№12 (9.726)

2-9 აპრილი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

მიგრაციის პრობლემა მუსიკალურ ჭრილში

„გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში...“

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება განახლდა

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „გაზაფხული დადგა და თითქმის მთელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მაშტაბით ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურ ფაზაში შევა. დღესდღეობით ორი ობიექტის მშენებლობა დაწყებულია. ერთი არის №3 საბავშო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე მინი სპორტული მოედნის და ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მოწყობა.“

მცირე ბიზნესი = დამოუკიდებელ შემოსავალს

ფემინიზმი- პროგრესი თუ ანომალია?

გვ.4

2016 წლის აპრილიდან შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ ერთვება „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ პროგრამის „კიბოს სკრინინგის“ კომპონენტში, რომლის მიზანია დაავადებათა ადრეული გამოვლენა.

პროგრამით გათვალისწინებული უფასო მომსახურება მოიცავს:

1.საშვილოსნოს ყელის სკრინინგი, 25-60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, კერძოდ:

ა) გინეკოლოგის კონსულტაცია;

ბ) პაპ-ტესტი

2.საშვილოსნოს ყელის კოლპოსკოპიური სკრინინგი, 25-60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში,საჭიროების შემთხვევაში:

ა) კოლპოსკოპიური კვლევა;

ბ) ბიოფსიური მასალის აღება, კვლევა.

მსურველებს შეუძლიათ მიაკითხონ რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დედოფლისწყაროს სამედიცინო დაწესებულებას.



რა არის აუტიზმი და რა სიმპტომების არსებობის შემთხვევაში უნდა მივმართოთ ექიმს

გვ.7

C M Y K

მიგრაციის პრობლემა მუსიკალურ ჭრილში

ახლახან, ერთ-ერთი პოულარული ჯგუფის „ჩვენებურები" მორიგი სატელევიზიო კლიპი გამოვიდა, რომელიც დედოფლისწყაროს სოფელ არბოშიკშია გადაღებული. კლიპის პრეზენტაცია სულ ახლახან შედგა. იდეის და მუსიკის ავტორი სოლომონ გოგაშვილია, რომელიც ამავე სოფლიდანაა და არბოშიკის პრობლემებზე გული განსაკუთრებით შესტკივა.

მუსიკალური ვიდეორგოლი საქართველოს სოფლებში მიგრაციის პრობლემის გამწვავებას ეძღვნება და მასში ნათლადაა ასახული, როგორ იცლება სოფლები. კლიპში ნაჩვენებია მიტოვებული სახლები და ბავშვების გარეშე დარჩენილი სოფლები. არბოშიკის მაგალითზე ეფექტურადაა ასახული, რომ სოფლის ბირჟებს აქა-იქ მხოლოდ ასაკოვანი მაცხოვრებლები შემორჩნენ და ახალგაზრდობის პოვნა თითქმის შეუძლებელია.

სოლომონ გოგაშვილი (მუსიკის და იდეის ავტორი): „არბოშიკიდან ვარ და ამიტომ ყველაზე მეტად ამ სოფელზე შემტკივა გული და მინდოდა სწორედ აქ გადამეღო. უკვე 12-14 წელია ფესტივალ „არტგენთან" ერთად ვმოგზაურობ საქართველოს რეგიონებში. ამ ფესტივალის ფარგლებში ყოველწლიურად სხვადასხვა რეგიონში ტარდება შემოქმედებითი ღონისძიებები და ვხედავთ, უფრო და უფრო როგორ იცლება სოფელი. ყოველწლიურად უფრო ნაკლები ახალგაზრდა რჩება სოფლად. ურბანიზაცია კარგი სიტყვაა, მაგრამ ამან საქართველოში ცოტა სხვა სახე მიიღო. ბოდიშს ვუხდი ყველას, ვისაც სოფელში სახლ-კარი მიტოვებული აქვს, სხვაგან ცხოვრობს და იქ ჩასვლას წლების მანძილზე ვერ ახერხებს. აქ სხვა პრობლემა დგას. ძალიან მტკიოდა ეს, განვიცდიდი და მინდოდა, სათქმელი რამენაირად მეთქვა. სულ საქართველოში 3 200-მდე სოფელი იყო, საიდანაც 1 100 დაიცალა. დამეთანხმებით, რომ სტატისტიკა, რომელიც მოვიძიეთ, ძალიან საგანგაშოა. 480 ქართულ სოფელში საერთოდ აღარავინ ცხოვრობს, 300 სოფელში თოთო კაცი შემორჩა, 200 სოფელში კი 1-დან 10 კაცამდე ცხოვრობს.

– კახეთში, შედარებით მჭიდროდ დასახლებული სოფლებია, გაცილებით რთული ვითარება იქნება სხვა რეგიონებში...

– კლიპში მონაწილე ანსამბლის კიდევ ერთი წევრი გიორგი გობეჯიშვილი რაჭიდანაა და, რა თქმა უნდა, რაჭის სოფლებში უფრო რთული სურათია, ვიდრე კახეთში. ბევრი ფაქტორი გვაძლევდა იმის საშუალებას, რომ კახეთის სოფლები შედარებით უფრო გადარჩა.

– იდეის განხორციელება როგორ დაიწყეთ?

– დაახლოებით 5-6 წელი მქონდა ეს იდეა და ზურგით დავატარებდი. კლიპში ნაჩვენებია ერთადერთი სკოლის მოსწავლე, რომელიც თითქოს, ამ სოფელში შემორჩა. ის ჩემი ბიძაშვილის ბავშვია და მიხარია, რომ გადაღებებს ძალიან ადვილად გაართვა თავი. გადაღების დროს ბევრი დუბლი არ დაგვჭირვებია და კამერაში ისე იყურებოდა და მითითებებს ისე ასრულებდა, როგორც გამოცდილი მსახიობი, ამიტომ დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ნიკოლოზ გოგაშვილს. ასევე მადლობა ყველა იმ არბოშიკელს, რომელიც დაგვთანხმდა, ჩვენს სოციალურ აქციაში ჩაერთო და ვიდეოკლიპში მონაწილეობს. მუსიკალური კლიპის შინაარსი ერთი ჩვეულებრივი ქართული სოფლის რეალობას ასახავს. სოფლის, რომელიც დაცლის საფრთხის წინაშეა, ერთი დღეა ნაჩვენები. სოფლის ასაკოვან მაცხოვრებლებს განსაკუთრებული მსახიობური მონაცემები არ დასჭირვებიათ, რადგან ისინი მათთვის ჩვეულ ყოფით პირობებში გადავიღეთ, ზოგი მარანში, ზოგიერთი თონესთან, ზოგი ეზოში, ზოგიც სოფლის ბირჟებზე და სიუჟეტი დრამატურგიულად განვავითარეთ. ამ მელოდიას კი რამდენიმე წლის განმავლობაში ვქმნიდით. რა თქმა უნდა, არბოშიკში მხოლოდ 1 ბავშვი არ არის დარჩენილი და საბედნიეროდ ბევრნი არიან, მაგრამ ამ სოფლის მაგალითზე გვინდოდა გვეჩვენებინა ქართული სოფლების რეალობა, სადაც სინამდვილეში ერთი ბავშვი ცხოვრობს, სახლების დიდი ნაწილი კი დაკეტილი და ცარიელია. არც არბოშიკშია კარგი სიტუაცია და ამაში ყველა დამეთანხმება. მე რომ ვიზრდებოდი, უბანში 50-მდე ბავშვი ვიყავით ხოლმე, დღეს საგანგაშო რეალობაა.

არ მინდა ვინმემ პოლიტიკურ განაცხადად ჩამითვალოს, ეს არის სოციალური აქცია და ჩვენი ტკივილის გამოხატვა, ქართული სოფლების დაცლასთან დაკავშირებით. მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ არანაირ საჯარო სამსახურში ხელიც არასოდეს მომიწერია და არცერთ პოლიტიკურ ჯგუფს არ წარმოვადგენ. უბრალოდ, ეს შემოქმედი ადამიანების პოზიციაა.

ჭკვიანი ადამიანები თუ დაფიქრდებიან, მიხვდებიან, რომ სოფელი მხოლოდ აგრარული ნაწილი არ არის და მხოლოდ ამ ჭრილში არ უნდა განიხილებოდეს. ნიჭის სხივები რეგიონებშიც ანათებს. ბოდიშს მოვუხდი თბილისელებს, ბევრი კოლორიტი დაბადებულა დედაქალაქში, მაგრამ დამეთანხმებით, ასევე ბევრი მარგალიტია დაბადებული თუნდაც მხოლოდ დედოფლისწყაროში. თავისი იუმორით, ჩვეული ხუმრობებით, დამახასიათებელი კოლორიტით, შემოქმედებითად, ბუნებრივი მდებარეობით, თავისი წყაროებით სოფელი არბოშიკი ყოველთვის გამორჩეული იყო არამარტო დედოფლისწყაროში. ეს სოფელი ცნობილია, ნიჭიერი ადამიანების სიმრავლითაც.

არბოშიკს ჰყავდა თავისი თეატრალური დასი და ამის შესახებ ჩემი მშობლების თაობისგან ბევრჯერ მსმენია. ხშირად იხსენებენ, რომ ეს დასი გასტროლებს აწყობდა სოფელ ველისციხეში, ზემო და ქვემო ქედში და დედოფლისწყაროში. დღეს კი ძალიან ცუდია და ყველა ჩემი კოლეგა დაგვეთანხმება, რომ ძირითადად კონცერტები რაიონულ ცენტრებში ტარდება და სოფლებში შემოქმედებითი ცხოვრება და რაიმე სახის მასშტაბური ღონისძიებები თითქმის არ ტარდება. ვინც სოფელში დაბადებულია, ის მიხვდება რამხელა სხვაობაა სოფელსა და რაიონულ ცენტრს შორის. მე ვფიქრობ, აუცილებელია სოფელი კულტურული თვალსაზრისით დაიტვირთოს. ჩემი ძირითადი მოწოდება ესაა და სადაც წავსულვარ, ამას ყველგან ვაფიქსირებ. შეიძლება დამნაშავე მეც ვარ, რომ ბევრს ვერ ვაკეთებ, მაგრამ ვცდილობ.

– კლიპის შექმნაში კიდევ ვინ მონაწილეობდა?

– ილია ჭავჭავაძის ტექსტია გამოყენებული და მინდა ვთქვა, რომ მუსიკა, კადრები და ტექსტი თანხვედრაში მოვიდა ერთმანეთთან და საოცრად შეერწყა. არანჟირება ეკუთვნით გიორგი გობეჯიშვილსა და ლევან მიქელაძეს, ჩვენი ანსამბლის წევრებს. მონტაჟის რეჟისორია ცნობილი რეჟისორის ავთო ვარსიმაშვილის შვილი, გიორგი ვარსიმაშვილი, ოპერატორი გიგი გილიგაშვილი. ყველა მათგანს გულწრფელად ვუხდი მადლობას, რადგან, ყველამ გულთან მიიტანა ჩვენი ჩანაფიქრი, ყველამ გაითავისა და ვფიქრობ, რომ საინტერესო გამოვიდა. პრეზენტაციის და სატელევიზიო პრეზენტაციების შემდეგ კლიპს კარგი გამოხმაურებები ჰქონდა. განსაკუთრებით ემოციური გამოხმაურებები აქვს ემიგრანტების მხრიდან, რომლებიც ,ათეულობით წლებია, სამშობლოში არ ყოფილან და უცებ ინტერნეტით ნახეს დაცლილი სოფლების შესახებ მუსიკალური ნომერი.

– თავად რამდენად ხშირად ახერხებ არბოშიკში ჩასვლას?

– არავის ჭკუას არ ვარიგებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ სოფლის გადარჩენაში მე თუ შემიძლია წვლილის შეტანა და ვახერხებ ამას, ყველა ჩვენგანი მოახერხებს. მე კვირაში ორი-სამი დღე არბოშიკში ვარ. მამაჩემი 2 წლის წინ გარდაიცვალა და ვცდილობ, არც ვენახს მოვაკლო ყურადღება და არც სახლ-კარს, ყველაფერს ვპატრონობ, როგორც შემიძლია. დემაგოგობაში თუ არ ჩამეთვლება, ყოველთვის ვამბობ ხოლმე, რომ თავს არბოშიკელად მივიჩნევ. პარიზიდან, ან სხვა გასტროლიდან რომ ვბრუნდები, მაშინვე მანქანას ვქოქავ და არბოშიკში გამოვრბივარ ხოლმე. ანდაც, კომბაინით ხორბლის მოსავალი რომ ამიღია, იმ ღამით ვარშავაში გავფრენილვარ კონცერტზე.

– სოლომონ, კლიპში არის მომენტები, როდესაც არბოშიკის კულტურის სახლის სცენაზე უკრავთ და ამ დროს დარბაზი ცარიელია, ამასაც რაიმე დატვირთვა აქვს?

– რა თქმა უნდა, ესეც სიმბოლურია. სოფლების კულტურის სახლებში მრავალი ათეული წელია კონცერტები აღარ გამართულა. არადა, მნიშვნელოვანია სოფლებში ტარდებოდეს. არბოშიკის კულტურის სახლში კიდევ ყოფილა რაღაც კონცერტები. ჩვენც ჩავსულვართ, გვთხოვეს და ანსამბლი „ჩვენებურები" ჩავიყვანეთ. ბოლოს 2011 წელს ჩავატარეთ კონცერტი. ერთხელ ფიროსმანობაზეც ვიყავით მიწვეული.

რაღაც გეგმები გვაქვს სოფლების გამოცოცხლებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ქართული საბრძოლო ხელოვნების ბიჭებთან „შავფაროსნებთან" ერთად ვგეგმავთ ეროვნული პროექტის განხორციელებას. წინასწარ დეტალებს ვერ ვიტყვი, მაგრამ საკმაოდ მასშტაბური იქნება და სოფლებში ძირეულად შეცვლის ყველაფერს. ჯერ ეროვნული შემსრულებლები იქნებიან და შემდეგ ალბათ უცხოეთიდან ჩამოსული ჯგუფებიც.

– ანსამბლის შექმნის დღიდან „ჩვენებურების" წევრი ხარ, პირველი ნაბიჯები მინდა გაიხსენო და, საერთოდ, როგორ დაინტერესდი მუსიკით?

– 2001 წელს „ერისიონის" ყოფილმა სოლისტმა, კარგმა მომღერალმა ნუგზარ კურცხალიამ ჩამოაყალიბა ანსამბლი „ჩვენებურები" და მიმიყვანა. რაც შეეხება კითხვას, რამ მოახდინა ჩემზე გავლენა, ბავშვობაში მახსოვს, რომ არბოშიკის ანსამბლში ბევრი პატივსაცემი ადამიანი მღეროდა. ჯემალ კირვალიძე, თემო გოგაშვილი, ვაჟა უთრუთაშვილი, გელა ფაციაშვილი, გელა გოგაშვილი... დედაჩემიც და მათი მეუღლეები და შვილებიც მღეროდნენ. უბანში სუფრა რომ გაიშლებოდა, წარმოიდგინეთ, კარგი გამართული ანსამბლი გვქონდა ხოლმე და ყველა მღეროდა. იმ წლებმა დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე. აბსოლუტური სმენა მქონდა და მიმიყვანეს მუსიკაზე. მერე შემრცხვა, რომ მხოლოდ გოგონები დადიოდნენ და ვეღარ გავაგრძელე. დღეს ყველაზე დიდი სანანებელი მაქვს ეს. სტუდენტობისას უკვე ამ ჯგუფთან მოვხვდი და მას შემდეგ ერთად მოვდივართ. ზოგადად, სოფლების გამოცოცხლებისთვის, ბევრი კარგი იდეა გვაქვს და, ვნახოთ, რამდენად შევძლებთ განხორციელებას.

ილია მარტყოფლიშვილი

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება განახლდა

დედოფლისწყაროში ინფრასტრუქტურული სამუშაოები განახლდა. მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი გამგებლის მოადგილესთან სოლომონ ღორაშვილთან და ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსთან დავით ფხოველიშვილთან ერთად ქალაქის ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის პროცესს ადგილზე გაეცნო. მან თავდაპირველად №3 საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიას მოინახულა, სადაც მინი-სტადიონისა და საბავშვო ატრაქციონების მოწყობა მიმდინარეობს. სამშენებლო სამუშაოებს ინდმეწარმე „ჯიქურაშვილი“ აწარმოებს და ადგილობრივი მოსახლეობაა დასაქმებული. პროექტი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება, რომლის ღირებულებაც 62 500 ლარს შეადგენს.

ახალი საავადმყოფოს მშენებლობასთან დაკავშირებით, ხორციელდება მასთან მისასვლელი გზის კეთილმოწყობაც. ანტონ ნატროშვილისა და სკოლის ქუჩებზე ასფალტის საფარის დაგების სამუშაოები დაიწყო. ორივე ქუჩა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება - ნატროშვილის ქუჩა 224 600 ლარი, ხოლო სკოლის ქუჩის მოასფალტება 176 700 ლარი დაჯდება.

„გაზაფხული დადგა და თითქმის მთელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მაშტაბით ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურ ფაზაში შევა. დღესდღეობით ორი ობიექტის მშენებლობა დაწყებულია. ერთი არის №3 საბავშო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე მინი სპორტული მოედნის და ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მოწყობა. აღნიშნული ტერიტორია საკმაოდ დიდია, მჭიდროდ დასახლებული, ბევრი ახალგაზრდა ცხოვრობს. წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც მოსახლეობას ვხდებოდით, მათი მოთხოვნა იყო, ბავშვთა ატრაქციონების დამონტაჟება და ჩვენ ეს მოთხოვნა შევასრულეთ. მეტსაც გეტყვით, დამატებით სპორტული მოედნის გაკეთებაც დავგეგმეთ აქ მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, რომელიც ხელოვნურსაფარიანი და კომპლექსური იქნება, რაც იმას გულისხმობს, რომ ახალგაზრდები ითამაშებენ ფეხბურთსაც, ფრენბურთსაც და კალათბურთსაც.

ახალი საავადმყოფოს მშენებლობა, ფაქტიურად, დასრულებულია და მიმდინარეობს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, რომელიც მუნიციპალიტეტმა თავის თავზე აიღო. საავადმყოფოსთან მისასვლელი სამივე გზა მოასფალტდება, ტროტუარები გაკეთდება და გარე განათებები მოეწყობა. ახალი საავადმყოფოს გახსნის პერიოდში, ჩვენს მოსახლეობას საშუალება ექნება კონფორტულად მივიდეს საავადმყოფოში და მიიღოს ის სამედიცინო მომსახურება, რომელიც ამდენი წლის მანძილზე ჩვენთვის დახურული იყო და, სამწუხაროდ, გვიწევდა სხვადასხვა ქალაქში წასვლა“ - განაცხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

მცირე ბიზნესი = დამოუკიდებელ შემოსავალს

გზა მათემატიკური ლოგიკიდან სილამაზის სრულყოფაზე ზრუნვისკენ თანამედროვე მეთოდოლოგიაზე გადის. დებმა, რომელთაც მათემატიკური განათლება მიიღეს, დასაქმების პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სილამაზის სალონის დაარსების იდეა დიდი ხანია, ჰქონდათ, მაგრამ თანხების უქონლობის გამო ვერ ახერხებდნენ. საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულმა პროექტმა „აწარმოე საქართველოში“ მათი იდეა რეალობად აქცია. „სილამაზის სალონი ახალი შექმნილი გვქონდა, გვინდოდა მისი გაფართოება და თანამედროვე აპარატურით აღჭურვა, მაგრამ მათი შესაძენი თანხა არ გვქონდა. მოგეხსენებათ, ლაზერული აპარატურა ძალიან ძვირი ღირს. ამიტომ გაგვეხარდა, როდესაც ამ პროექტის შესახებ შევიტყეთ. გადავწყვიტეთ, დაგვეწერა პროექტი და ბედი გვეცადა. როგორც ხედავთ, მოეწონათ ჩვენი იდეა და დაგვაფინანსეს. შევიძინეთ ლაზერული აპარატურა, გავიარეთ შესაბამისი სწავლებაც და დავიწყეთ მუშაობა“- ამბობს ლალი ანდრიაშვილი. ისინი უკვე ორი თვეა, იღებენ მათი მომსახურების მსურველებს. ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში კი მეტ ადამიანს ელოდებიან.

„ლაზერული ეპილაცია, ნაოჭების გასწორება ინფრაწითელი სხივებით, სახის გაწმენდა და მასაჟი, წარბების კორექცია და პროფესიონალური მაკიაჟი, ასევე სტილისტის მომსახურება წარმოადგენს ჩვენი სალონის ძირითად ხაზს“ - აცხადებს ჩვენთან საუბარში ლალი ანდრიაშვილი.

ის მადლობას უხდის პროექტს „აწარმოე საქართველოში“ და მათ კოორდინატორებს და დასძენს, რომ მათი მაგალითის წყალობით ბევრმა ირწმუნა, რომ „ჩაწყობის გარეშე“ საქართველოში შესაძლებელია მიიღო დაფინანსება და შენი მცირე ბიზნესი დაიწყო. ეს კი ბევრი ოჯახისთვის საკუთარი საქმის დაწყებას და შემოსავლის მიღებას ნიშნავს.

ინგა შიოლაშვილი

ფემინიზმი – პროგრესი თუ ანომალია?

ფემინიზმი- საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობა, რომლის მიზანია ქალთა უფლებების აღიარება, მათი გათანასწორება მამაკაცებთან ცხოვრების ყველა სფეროში. ტერმინი დასავლეთში ფართოდ გავრცელდა XVIII საუკუნის 80-იან წლებში, თუმცა მისი, როგორც მასობრივი მოძრაობის, ჩამოყალიბება XIX საუკუნეში დაიწყო. არსებობს ფემინიზმის რამდენიმე მიმართულება. თავდაპირველი მიმართულების მთავარი მიზანი ქალებისათვის სამოქალაქო უფლებების (არჩევნებში მონაწილეობა) მოპოვება იყო, თუმცა, დროთა განმავლობაში ფემინისტური იდეოლოგიის არეალი გაფართოვდა.

ბოლო დროს საქართველოში ფემინიზმი პოპულარულია და მას ბევრი მიმდევარიც ჰყავს. ნაწილობრივ მეც ვეთანხმები ქალთა მოძრაობის ძირითად ღირებულებებს. ის, რომ ქალი და მამაკაცი ადამიანური თვალსაზრისით თანაბრად მნიშვნელოვანია, ჩემთვის დიდი ხანია ნათელია.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი მთლიანად იზიარებს ფემინისტური იდეოლოგიის პრინციპებს, მეორე ნაწილისთვის ისინი ბუნდოვანი და უფრო მეტიც- მიუღებელია. ფემინიზმის კრიტიკის ავტორები სვამენ რამდენიმე კითხვას:

1. აქვს თუ არა გენდერულ თანასწორობას რაიმე ზღვარი,ზედა ნიშნული, სადაც შეუძლებელია, ორი სრულიად განსხვავებული სქესი ერთმანეთს თვისობრივად (და არა ფუნქციურად) გაუთანაბრდეს?

2. ხომ არ ამახინჯებს სინამდვილეში ქალის იდეალს, მის შინაგან სამყაროს, მის განუმეორებელ პიროვნულ თვისებებს ფემინიზმის თანამედროვე პრინციპები?

3. იქნებ ფემინიზმის სახით საქმე არა დემოკრატიულ პროგრესთან, არამედ ჩვენი საუკუნის ანომალიასთან გვაქვს?

4. საინტერესოა, რატომ დაისვა ასე მწვავედ ქალთა უფლებების შელახვის საკითხი? რა ხდება ამ მხრივ საქართველოში? არსებობს პრობლემის რეალური საფუძველი, თუ სხვათა მსგავსად, ეს თემაც ხელოვნურადაა თავსმოხვეული?

საკითხის კვლევისას წავაწყდი ერთ-ერთ სტატიას, რომელშიც ფემინისტი ავტორი თავის აზრს ამგვარად აფიქსირებს: "საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტული ტრიბუნიდან ქალს ქმრის მორჩილებას და მისთვის ფეხების ბანვას მოუწოდებენ, სადაც ითვლება, რომ ქალს ქორწინებამდე სქესობრივი ურთიერთობა არ უნდა ჰქონდეს, სადაც ქალის ადგილი სამზარეულოშია, სადაც ქმარი აიძულებს ცოლს, გაიკეთოს აბორტი მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვი გოგოა და არა ბიჭი, სადაც ქალთა მკვლელობის ფაქტების შემაშფოთებელი სტატისტიკაა, მაგრამ, საბედნიეროდ, „ურჩი" ქალების ბრძოლას თავისუფლებისათვის ვერაფერი შეაჩერებს!"

სიმართლე გითხრათ, ეჭვის თვალით ვუყურებ აღწერილ რეალობას. არა მგონია, რომ ყველა ზემოთ ჩამოყალიბებული არგუმენტი სიმართლეს შეესაბამებოდეს, ამიტომ შევეცდები თითოეულ მათგანს სათანადო პასუხი მოვუძებნო. მოდი, მივყვეთ თანმიმდევრულად.

1. როგორც ვხედავთ, ფემინისტებმა მთავარი იერიში ეკლესიაზე მიიტანეს. ვფიქრობ, ეკლესიის დადანაშაულება მსუბუქად რომ ვთქვათ, მცდარია. ამას ერთი მარტივი მიზეზი აქვს: ეკლესია სულაც არ ასწავლის ქალებს მონურ მორჩილებას და არც კაცებს ეუბნება, მეუღლეებზე იბატონონ. პავლე მოციქული წერს: "ქმართა გიყვარდეთ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყვარა ეკლესიაი და თავი თვისი მისცა მისთვის". რას ნიშნავს ეს? ქრისტემ არა უბრალოდ შეიყვარა ეკლესია, არამედ სისხლი დაღვარა და ჯვარს ეცვა მისთვის. მოციქული ქმრებს ცოლების თავგანწირული სიყვარულისკენ მოუწოდებს და აგრძელებს: "ქმრებო, გიყვარდეთ ცოლნი თქვენნი და ნუ იქნებით მკაცრნი მათ მიმართ." ალბათ სასაცილოა იმის მტკიცება, რომ ეკლესია, რომელიც მართლმადიდებელ კაცს ასწავლის, მკაცრიც კი არ იყოს მეუღლის მიმართ (არათუ მოძალადე და მკვლელი), ქალებზე ძალადობის ხელშემწყობი ინსტიტუტია.

2. ფემინისტი ავტორი მიიჩნევს, რომ ქალის უფლება- ჰქონდეს სექსუალური ურთიერთობა ქორწინებამდე- საქართველოში შელახულია. ის, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ საკითხისადმი ტრადიციული შეხედულება დომინირებს, სულაც არაა გასაკვირი. მოსწონს თუ არ მოსწონს ეს ლიბერალურ საზოგადოებას, ჩვენ მართლმადიდებელი ერი ვართ და ასეთად დავრჩებით.

3. "ქალის ადგილი სამზარეულოშია!"- მსგავსი ცხოვრებისეული კრედო, ვფიქრობ, მხოლოდ უინტელექტო, ყოველგვარ თვალსაწიერს მოკლებულ, არასრულფასოვნების კომპლექსით დაავადებულ და უპრინციპო ადამიანებს აქვთ. მეეჭვება, რომ რომელიმე ისტორიულ ეპოქაში ასეთი მამაკაცები სჭარბობდნენ ჭეშმარიტი ღირებულებების მქონე ქართველ კაცებს. მიუხედავად იმისა, რომ არ უარვყოფ ასეთი ადამიანების არსებობას, დაუშვებლად მიმაჩნია ამ ტენდენციის განზოგადება და მთელი ქართული საზოგადოების პორტრეტად მიჩნევა.

4. აბორტის თემა ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეულია. მინდა შერჩევითი აბორტების მგმობელ ფემინისტებს ერთი შეკითხვა დავუსვა: ნუთუ სელექციური აბორტების რიცხვი აჭარბებს დედების მიერ ნებაყოფლობით მოცილებულ ნაყოფთა რიცხვს? რამდენი ქალი იკეთებს თავისი ნებით აბორტს მსგავსი ფემინისტური ლოზუნგით გამხნევებული: "შორს შენი ბინძური რელიგიური ხელები ჩემი წმინდა სხეულისგან (!!!)" აბორტი ქალის უფლებაა?! საზოგადოება, რომელიც სისხლის ბოლო წვეთამდე "იბრძვის" დემოკრატიული პრინციპების დასაცავად და მოითხოვს ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრას, მკვლელობას ქალის უფლებას უწოდებს?! მინდა გკითხოთ, ნუთუ არ ირღვევა იმ ბავშვის უფლება, რომელსაც დაბადებასაც არ აცდიან და სიცოცხლეს ხელოვნურად უსპობენ? ხვდებით, რომ უზარმაზარ ლოგიკურ ცდომილებასთან გვაქვს საქმე? ნუთუ გვინდა, ისეთი საქართველო ავაშენოთ, სადაც ადამიანის მკვლელობა ნორმა იქნება? თუკი ესაა ფემინიზმი, მაშინ მე ის არ მჭირდება.

5. ქალებზე ძალადობენ საქართველოშიც, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. თუმცა, ავტორს იმაში ვერ დავეთანხმები, რომ ეს პრობლემა ყველაზე მწვავედ სწორედ საქართველოში დგას. მართალია, ეს არ გვანუგეშებს, მაგრამ მოვიშველიოთ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების სტატისტიკა: 2010 წელს იტალიაში 127 ქალი მოკლეს, კვირაში საშუალოდ ორ ქალს კლავენ დიდ ბრიტანეთში (!!!). განვითარების დონე, როგორც ჩანს, ვერ ამცირებს ქალზე ძალადობის ფაქტებს.

6. მე არ ვიცი ვინ არიან ეს ურჩი ქალები. არც ის ვიცი, რისთვის იბრძვიან. მე ვიცი მხოლოდ ის, რომ თავისუფლების იდეალი ქალისთვისაც და მამაკაცისთვისაც ერთია. მე მჯერა, რომ თუ სამყაროში გენდერული თანასწორობის კანონებზე მეტი სიყვარული იქნება, არც ერთი კაცი არ მოკლავს თავის ცოლს, არც ერთ ქალს არ მოუნდება იდგეს კაცზე მაღლა, იყოს მასზე ძლიერი და საკუთარ თავს უხეშ კაცად ყოფნის მძიმე ხვედრი მიუსაჯოს. მე ვერ ვხვდები, რას ამჯობინებს თანამედროვე ქართველი ქალი დედობის ზღაპარს.

დასასრულს კი მინდა ერთი საგულისხმო და საინტერესო მოსაზრება გაგიზიაროთ. "საქართველოს ეროვნული ახალგაზრდული მოძრაობის" დამფუძნებელი **ქეთევან ჯაყელი** გენდერული თანასწორობის შესახებ წერს და არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართავს:

„ნუ მართმევთ ჩემს მთავარ, შეუცვლელ უფლებას, ვიყო ქალი! ქალი, რომელსაც პროფესიულ წარმატებასთან ერთად სურს, იყოს სუსტი სქესის წარმომადგენელი. სისუსტე არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს ჩემი დაჩაგვრის უფლებას მივცემ. ეს ნიშნავს იმას, რომ მამაკაცისგან განსხვავებულ მოპყრობას და პატივისცემას მოვითხოვ. მე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაქვს იგივე უფლება, რაც მამაკაცს და ჩემს ამ უფლებას არავინ ზღუდავს, თუმცა, არ მაქვს არანაირი სურვილი, ნებისმიერ საკითხში თანასწორი ვიყო მამაკაცისა, რადგან მე ქალად დავიბადე და მინდა ეს სტატუსი შევინარჩუნო!

მე მასწავლეს, რომ ცხოვრებაში ქალს აქვს თავისი მოვალეობები და ვალდებულებები და კაცს- თავისი. ჩემი ოჯახის მამაკაცებმა ყოველთვის იცოდნენ, რომ ქალისთვის პატივი უნდა ეცათ. ქართული ტრადიციებით გამზარდეს და ოცი წლის განმავლობაში არც ერთხელ არ მიგრძვნია თავი დაჩაგრულად.

თუ ბავშვებს თქვენი ლიბერალური ღირებულებებით ტვინს არ გამოურეცხავთ და სრული თანასწორობის ჩარჩოებში მოქცევის მაგივრად ასწავლით, რომ ბუნების კანონით ქალი და კაცი ერთმანეთისგან განსხვავდება, ადრეული ასაკიდან უქადაგებთ ურთიერთპატივისცემას, მხოლოდ ამ შემთხვევაში შემცირდება ძალადობის ფაქტები.

მე ქალი ვარ და არ მჭირდება გვერდით თანასწორი მამაკაცი! კაცი ჩემზე ძლიერი უნდა იყოს და ეს მე დისკომფორტს კი არა, დიდ კომფორტს შემიქმნის."

მადლობა ღმერთს, ქალს მაინც ვერ მოუკლეს სურვილი ქალად დარჩენისა. არსებად, რომელიც საწინააღმდეგო სქესს აძლევს იმპულსს, მუდმივად ისწრაფოს სრულყოფილებისაკენ და იყოს ღირსეული. ალ პაჩინოსი არ იყოს, "მე მამაკაცი ვიქნები მანამ, სანამ დედამიწაზე დადიან ნამდვილი ქალები. ქალები, რომლებიც არ ყარან სიგარეტისა და ლუდის სუნით, ქალები, რომელთაც აქვთ ბუნებრივი ხიბლი, სიკეთე და დედობის ინსტიქტი."

სოფიო მენთეშაშვილი

აფრიკული შთაბეჭდილებები და „ბერიკონის“ მონატრება



კულტურის სახლის დირექტორი ცარო მარტიაშვილი მეგობრების მიწვევით აფრიკის კონტინენტზე იმყოფებოდა. გთავაზობთ მის შთაბეჭდილებებს.

-ცარო, რამდენი ხნით და რომელ ქვეყანაში იყავით სამოგზაუროდ?

-სრული ერთი თვის განმავლობაში. 13 თებერვლიდან 12 მარტის ჩათვლით ვიმყოფებოდი აფრიკის კონტინენტზე, კერძოდ სუდანში, ქალაქ ხართუმში. ,,სუდან„ არაბული სიტყვაა და ქართულად “შავი ხალხის მიწას “ნიშნავს. ისტორიულ წყაროებში სამხრეთ ეგვიპტე ხშირად ეგვიპტის სუდანად მოიხსენიება!! უფრო ადრე კი იყო ნუბიის სახელმწიფო.. ძირძველი ქრისტიანები.. ხართუმში და მის ახლო- მახლო ქალაქებში ბევრი ქრისტიანული ტაძარია, კათოლიკურიც და კოპტურიც. რამაც ყველაზე ძალიან გამაოცა, ეს ტაძრები და მეჩეთები ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან, ანუ ტოლერანტობა მარტო ჩვენი, ქართველების თვისება არ ყოფილა.

-თქვენ იქ უამრავი ადგილი მოინახულეთ, რა ტრადიციების მატარებელი ხალხია, საინტერესოა თქვენი შეხედულება...

-დედამინა ძალიან პატარაა.. ჩვენ ადამიანები ყველანი ერთნაირები ვართ.. უბრალოდ სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ და სხვადასხვა სარწმუნოება გვაქვს.. დედამინას გაფრთხილება სჭირდება... ჩვენ კი სიყვარული უნდა ვისწავლოთ და მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

-აფრიკული კერძების შესახებ რას იტყოდით, რამდენად გემრიელია კერძები აქვთ?!

-აფრიკული ტომები, ანუ ძირძველი ნუბიელები, ძალიან ცოტანი არიან დარჩენილი, შესაბამისად არსად ჩანდა მათი სამზარეულო .ძირითადად, ამ ქვეყანაში შეხვდებით ეგვიპტურ და არაბულ სამზარეულოს. აქტუალურია თევზეული და ზღვის პროდუქტები, იგივე რვაფეხა არც თუ ისე სასიამოვნო შესახედავია, მაგრამ უგემრიელესია, თან ლალი განსაკუთრებულად ამზადებს, ქართული შტრიხებით. არაბული სამზარეულოს განუყოფელი ნაწილია ხორცეული. განსაკუთრებით ცხვრის ხორცი და მისგან დამზადებული კერძები. აქვთ საოცარი ტკბილეული, განსაკუთრებულა, გამორჩეული ფახლავები...

-რამდენადაა იქ განვითარებული თეატრი, ზოგადად, როგორია კულტურული ცხოვრება. საინტერესოა ისიც, მათი მუზეუმები როგორ გამოიყურება?

- თეატრი საერთოდ არა აქვთ. ვნახე საგამოფენო დარბაზები, მაგრამ არც ერთი საკონცერტო და თეატრის შენობა. აქვთ ერთხმიანი სიმღერები და ცეკვები უმარტივესი ილეთებით. ვიყავით ნაციონალურ მუზეუმში, ვნახეთ გათხრების დროს აღმოჩენილი უძველესი ქალაქების ნაშთები, ბარელიეფებით და საოცარი ნახატებით. ვნახეთ სუდანის უკანასკნელი მმართველის, ხალიფიას სასახლე აბდურმანში. ვნახეთ ქალაქი ბახრი, სადაც მდებარეობს უზარმაზარი კათოლიკური ტაძარი.

-რამდენადაც ვიცით, თქვენ იქ ნავით გაისეირნეთ მდინარე ნილოსზე, რამაც მამლუქები გაგახსენათ.

-სასიამოვნო და ძალიან ამაღელვებელი იყო ნილოსზე გასეირნება მამლუქების თემიდან გამომდინარე, ვნახე თეთრი და ლურჯი ნილოსის შეერთების ადგილი, ეს ერთი თვე იყო მოულოდნელობებით და შთაბეჭდილებებით სავსე...

-ფოტოებიდან ჩანს, თქვენ იქ ორანჟერიაში დადიოდით, სად იყო აფრიკაში ასეთი ყვავილნარი, რა დონეზეა განვითარებული იქ სოფლის მეურნეობა, მე ვიცი, რომ ასეთ გაუდაბნოებულ ადგილებში, რწყვის სისტემის დახმარებით მაინც მოჰყავთ მოსავალი, ამ ყველაფერზე იქნებ მეტი გვითხრათ?

-კი, ეს ულამაზესი ორანჟერეა იყო, ქალაქ ბახრიშია გადაღებული, სადაც ვიყავით სტუმრად არაბულ-უკრაინულ ოჯახში. ყვავილები გახარებული იყო ქოთნებში, აქ კურიოზიც შემემთხვა.. როცა გაკვირვებულმა ვიკითხე, ზამთარში ამდენი ყვავილი სად მიაქვთ-მეთქი?

-როგორია თქვენი თვალით დანახული ქართული ოჯახის აფრიკული ცხოვრება, როგორ არიან ისინი შეწყობილი ამ ყოველივეს და იქაური ხალხი როგორი განწყობითაა ქართველების მიმართ?

-მთლიანობაში არის საოცარი ქვეყანა, ძალიან თბილი ხალხით, მდიდარი კულტურით... ნუბიური პირამიდები ძალიან დიდ საიდუმლოს ინახავს... სამწუხაროდ, გამოუკვლეველი და აუთვისებელია. შარიათის ქვეყანაა და, ამდენად, ტურიზმი აქ განვითარებული არ არის. ისე, უძველესი ნუბიის და დღევანდელი სუდანის ტერიტორია იმითაც არის საინტერესო, რომ არქეოლეგების აზრით, ეგვიპტის განუმეორებელი დედოფლის- ნეფერტიტის საფლავი სწორედ აქ არის.

-აფრიკულ ტრადიციებზე, წეს-ჩვეულებებზეც გვითხარით?

-შარიათი ნიშნავს , რომ ტაბუ აქვს დადებული და სასტიკად არის აკრძალული ყველანაირი ალკოჰოლის მოხმარება, ლუდისაც კი, არსად არ იყიდება.

-რამდენად დაცულია ქალის უფლებები აფრიკულ ქვეყნებში?

-ზოგადად მუსირებს აზრი, რომ მუსულმანურ და, მითუმეტეს, შარიათის ქვეყნებში ქალების დისკრედიტაცია ხდება, რაც არ არის მართალი, პირიქით, ქალებს შეხვდებით ყველა სტრუქტურაში, თვით უმაღლეს ეშელონებშიც კი.

-მინდა შედარება გააკეთოთ, აფრიკელი და ქართველი ხალხის ხასიათს შორის.

-ყველაზე ძალიან რამაც გამაოცა, ეს იყო ღიმილი... ვიკითხე კიდეც: დავიჯერო, ყველას ისეთი დალხინებული ცხოვრება აქვს, გამუდმებით რომ იცინიან-მეთქი? ამაზე მიპასუხეს: დღევანდელი დღით არიან ბედნიერები, ხვალინდელზე არ ფიქრობენ, თვლიან, ეს ღმერთს(ალაჰს) ეკუთვნისო!!! ეს ღიმილი და ადამიანებს შორის კეთილგანწყობა შემშურდა თეთრი შურით, ჩვენ ხომ ღიმილი დიდი ხანია დავკარგეთ!!!

-რას ნიშნავს მეგობარი ზოგადად და როგორია თქვენი და ლალის მეგობრობა, რომელმა ურთიერთობამაც თქვენ აფრიკაში მასთან ერთად ერთი თვე გაგატარებინათ?!

- ხშირად მითქვამს და კიდევ ვიტყვი , რომ მე იმ ბედნიერ გამონაკლისს ვეკუთვნი, ვისთვისაც მეგობარს არასოდეს არ უღალატია დაწყებული საბავშვო ბაღიდან დღემდე! და ეს მარტო ჩემი დამსახურება არ არის, მე ღმერთმა დედამიწის ზურგზე საუკეთესო მეგობრებით დამაჯილდოვა! არა აქვს მნიშვნელობა, ისინი ჩემს გვერდით იქნებიან, სხვა კონტინენტზე თუ ოკეანის გაღმა, მე ისინი მყავს და ბედნიერი ვარ! რაც შეეხება ჩემი და ლალის ურთიერთობას .. ეს ძალიან დიდი ხნის წინ დაიწყო.. 1982 წლიდან ჯერ ლია(ლია ხუციშვილი დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ყოფილი დირექტორი) იყო ჩემი მეგობარი, მესაიდუმლე, მერე ლიას შვილები- ლალი და ეკა. ესაა უღალატო და ენით აუწერელი თბილი და ტკბილი ურთიერთობა. დღეს კი, ლალის და ეკას შვილები არიან ჩემს გარშემო.. ეს არის თაობებს შორის ურთიერთობა, ეს მეგობრობაზე მეტია... უფრო ღრმა და უფრო სხვა...

-როგორია ლალის და ბატონი დავითის დამოკიდებულება აფრიკელ ხალხთან?

-ლალის და დათოს გენიალურ ოჯახს აქვს შესანიშნავი დამოკიდებულება ადგილობრივ მცხოვრებლებთან და ეს არ არის გამოწვეული არც მათი მაღალი სოციალური სტატუსით და არც კანის ფერით. მათ მთელი გულით შეიყვარეს აფრიკა და აფრიკელები. ვხუმრობდი კიდეც, აფრიკით გონის დაკარგვამდე მოხიბლული სულ ორი ადამიანი ვიცი- ჰემინგუეი და დათო გვენეტაძე! როცა მე ვნახე ის მოწიწება და პატივისცემა, რასაც უზარმაზარი ავიაკომპანიის თანამშრომლები დათოს მიმართ იჩენენ, როცა ვნახე ლალის მიერ შექმნილი საოცარი პორტრეტები, პეიზაჟები სერიოზული გამოფენისთვის „ჩემი თვალით დანახული აფრიკა“, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მართლაც დასანანია... ,,ვერ გაგიფრთხილდით, ვერ მოგიარეთ, ვერ გიპატრონეთ ,მთელ სამყაროში გაფანტულო ,ქართულო ნიჭო!!!

და ბოლოს, სიტყვები არ მყოფნის, როგორ უნდა გადავუხადო მადლობა ჩემს მეგობრებს იმ ულამაზესი ერთი თვისთვის, რაც მე აფრიკის კონტინენტზე გავატარე?! ხშირად ვეკითხები ჩემს თავს, ნეტავი რითი დავიმსახურე? პასუხი არ მაქვს...

-რა იყო ის ძალა, რამაც აქეთ, საქართველოსკენ გამოგწიათ?

-მომენატრნენ მეგობრები, მაგრამ უზომოდ და უსაზღვროდ მომენატრნენ ჩემი ბერიკონელები, ხშირად მესიზმრებოდნენ!!

-გიფიქრიათ სამშობლოსგან მოშორებით ქვეყანაში ცხოვრებაზე?

-მიფიქრია და ჩემი თავისთის დამისვამს კითვა: თუ გავძლებ და თუ ვიცხოვრებ უცხო ქვეყანაში? სამწუხაროდ კი, მე ხომ გმირი არა ვარ, ჩვეულებრივი ადამიანი ვარ!

-მადლობა საინტერესო ინტერვიუსთვის, გულწრფელობისთვის და იმისთვის, რომ საშუალება მოგვეცით, ყველაზე ცხელი კონტინენტიდან მოგეწოდებინათ ჩვენთვის საინტერესო ამბები.

-მადლობა თქვენ დაინტერესებისთვის.

ლალი მეხრიშვილი

სპექტაკლი „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ დედოფლისწყაროს სცენაზე

23 მარტს დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე საბავშვო სპექტაკლი „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ დაიდგა, რომელსაც მოზარდი მაყურებელი და მათი მშობლები დაესწრნენ. მსურველთა მხრიდან სპექტაკლზე დასწრების მოთხოვნა იმდენად მაღალი იყო, რომ მიუხედავად სამი სეანსის

მიჯრით დადგმისა, დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა. ისე, რომ მოზღვავებულ მაყურებელს ადგილები არ ეყო. კულტურის სახლის მუშაკებმა კარგი ორგანიზება და ყველა ბავშვის დასწრება უზრუნველყვეს. ღონისძიებამ მოზარდი მაყურებლის დიდი ინტერესი და ემოცია გამოიწვია.

ყველა ზღაპრის ბოლო ხომ კეთილია და ამ მშვენიერი ქართული მულტფილმის, შემდეგ კი კინოფილმის ამბავი, სცენაზეც ლამაზად დასრულდა. აღმოჩნდა, რომ წუნას და წრუწუნას თემა იმდენად აქტუალურია დღესაც, რომ მისმა ფაბულამ სცენაზეც ძალიან კარგად გაამართლა. ამბავი აქაც ბატონის დამარცხებით და წუნასა და წრუწუნას ქორწილით დასრულდა.

-„ჩვენ ვართ თეატრალური დასი თბილისიდან, რომელსაც ჰქვია „ივერიონი“, ჩვენი ხელმძღვანელი გახლავთ ქალბატონი მაია პიტიურაშვილი. დავდივართ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და ვმართავთ სპექტაკლებს, რითაც ყველაზე მეტად ვახარებთ ბავშვებს. წინა წელს 60 000-მა ბავშვმა ნახა ჩვენი სპექტაკლები, ყველას უხარია, სადაც ჩავდივართ და ვთამაშობთ. დღეს სამჯერ გავიმეორეთ „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, ბავშვები გამოვიდნენ სოფლებიდანაც, შემდეგი სპექტაკლი მოზრდილი მაყურებლებისთვისაა. ვდგამთ „კაცია-ადამიანს“. კახეთის რეგიონში ბევრჯერ ვართ ნამყოფი, დედოფლისწყაროში პირველად ვართ, ვფიქრობ, დედოფლისწყაროელი ბავშვები და დედები უკმაყოფილონი არ დარჩებოდნენ, ძალიან მოგვეწონა აუდიტორია, დარბაზი სამივე სეანსზე თითქმის გადაიჭედა, კმაყოფილები ვართ ჩვენც.“-აღნიშნა სპექტაკლის ერთ-ერთმა მონაწილე მსახიობმა დავით თოლორაიამ.

ლალი მეხრიშვილი

„ხელოვნებაა თვით უკვდავება“...

ყველა ქართველში ხომ არის პატარა ნაპერწკალი ხელოვნების სიყვარულის, მისი ლამაზად აღქმის და თვით შესრულების ნიჭიც. ჩვენ კი ვაგროვებთ პატარ-პატარა ნაპერწკლებს, რათა არ დაიკარგოს, არ გადაშენდეს საქართველოს ყველა კუთხეში გაბნეული ხელოვნების ნიმუშები, გარდა ამისა, ვახალისებთ და ერთმანეთს ვადარებთ ეროვნული უმცირესობების ნამუშევრებსაც. ყველამ კარგად იცის, რომ “მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი,” ამიტომ ყველა ნიჭიერი ადამიანი უკვდავია.

მოგითხრობთ პირველი გამოფენის მონაწილეების ცხოვრებას და მათი ხელოვნებით დაინტერესების საფუძველს.

ნინო ბურდული სწავლობდა სოფელ ხორნაბუჯის რუსულ-ქართულ საჯარო სკოლაში. ბავშვობიდანვე გატაცებული იყო ლამაზი ნივთების შექმნით. იცის ქართული, რუსული, სომხური ენები. სწავლობდა თოიძის სახელობის სასწავლებელში. ამჟამად მუშაობს: თექაზე, ტილოზე, ბისერებზე და ქმნის ფერად ყვავილებს, ყელსაბამებს, სუფრებს. ჰყავს ორი მცირეწლოვანი ბავშვი და როდესაც მათ აძინებს, მაშინ იწყებს მუშაობას, ბევჯერ მას თეთრად დასთენებია კიდეც.

მეორე მონაწილე გახლავთ პატარა ტანის, თოჯინასავით ლამაზი გოგონა- ლილი ლომაშვილი. ვერც კი წარმოიდგენს ადამიანი, თუ მას ასეთი ნივთების კეთება შეუძლია, რა არ გამოსდის მას პატარა ხელებს: თოჯინები, სამკაულები, ყვავილები, დაქარგული ნახატები, სათამაშოები. მან დაამთავრა სამხატვრო სკოლა, სამედიცინო კოსმეტოლოგია, მაგრამ მისი გატაცება ყოველთვის იყო ხელნაკეთი ნივთების შექმნა. მის ხელში უკვე გამოუსადეგარი საოჯახო ნივთებიც კი ახალ სიცოცხლეს იძენენ. იგი ცხოვრობს სოფელ ხორნაბუჯის ტერიტორიაზე, მაგრამ მისი ფესვები საინგილოშია და იქიდან მოჰყვება საქართველოს სიყვარულიც, აქ დაბრუნების სურვილიც. მისი პატარა დაც დამწყები ხელოვანია და მის ნამუშევრებსაც გამოვფენთ მუზეუმში მეორე გამოფენაზე.

მესამე მონაწილე გახლავთ შორენა ალუღიშვილი, ამჟამად ხატვის მასწავლებელი, ამავე დროს თვითონაც ულამაზესი ნახატების ავტორი, ქარგვითაც შესანიშნავად ქარგავს ტილოზე, ქსოვს ყაისნაღით. იგი 1995-2001 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში: „ტანსაცმლის მხატვრული დიზაინის ფაკულტეტზე“, იგი ცხოვრობს სოფელ ხორნაბუჯში და ჰყავს ორი შვილი.

მეოთხე მონაწილე გახლავთ სოფელ ხორნაბუჯში მცხოვრები, წარმოშობით პოლონელი ვალენტინა ვალუისკაია, იგი შესანიშნავად ქსოვს, როგორც ყაისნაღით, ისე ჩხირებით. მისი ფერები ლამაზად არის შეხამებული. ნაქსოვებში ისეთი სიმეტრიულობა და კარგად გადასვლაა ფერებში, რომ წუნს ვერ უპოვი.

მეხუთე მონაწილე მეათე კლასის მოსწავლე ნინო კვანჭიანი, წარმოშობით სვანეთიდანაა. მას სვანეთიდან ხელოვნების სიყვარული და ნიჭი გამოჰყოლია. თვითნასწავლია და ნამუშევრებსაც ფანტაზიით ქმნის. ოცნებობს პერსონალური გამოფენისთვის ნამუშევრების შეგროვებაზე. ცხოვრობს სოფელ ხორნაბუჯში და მისი პირველი ნაბიჯები და პირველი ნაბუშევრების გამოფენაც ჩვენს მუზეუმში გადაწყვიტა. თავისუფალ დროს მუ**შაობს თექაზე, ბისერებზე, ქმნის ნამუშევრებს და საკუთარ** ფანტაზიას აცოცხლებს ნახატებში.

სოფელ ხორნაბუჯის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორი
ქეთევან მჭედლიშვილი

„გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში...“

გაზაფხულის მოსვლასა და ქალთა დღესასწაულებს მიეძღვნა ულამაზესი საღამო, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის 25 მარტს, ქ.დედოფლისწყაროს კულტურის სახლში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ინიციატივითა და ორგანიზებით.

მოწვეული სტუმრები მასპინძლებმა წითელ ხალიჩაზე გაატარეს და დარბაზის შესასვლელთან, ბავშვთა ხელოვნების სტუდია „არლეკინოს“ მსახიობებმა, ქალბატონებს გადასცეს ყვავილები და მისალოცი ბარათები.

საღამოს ძირითადი მასპინძელი იყო ქ.დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული ვოკალური კვარტეტი გიორგი ცერცვაძის ხელმძღვანელობით, რომლებიც მაყურებლის წინაშე წარსდგნენ ქალაქური სიმღერებით.

ღონისძიებაში მონაწი-

ლეობდნენ აგრეთვე ბავშვთა ქორეოგრაფიული სახალხო ანსამბლი „შირაქი“ (ხელმძღვანელი ალექსი გაბრიელაშვილი) „ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“ (ხელმძღვანელი ხვიჩა ზუბიაშვილი) - „დები ლოლაშვილები“ (ხელმძღვანელი ნინო ნიკვაშვილი), მოწვეულ ქალბატონებს სიმღერები - „თავადის ქალო“ და „დედა“ - მიუძღვნა ანსამბლ „ხორნაბუჯის“ მომღერალმა ბ.ნ. ვასილ ტუხაშვილმა.

გია ყანჩელის კომპოზიცია ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის შეასრულეს ქ.ნ. თამილა ნადირაშვილმა და ბახის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა მალვინა ისმაილოვამ. ქ.ნ. თამილა ნადირაშვილმა ფორტეპიანოზე შეასრულა აგრეთვე „ტანგო“, კინოფილმიდან „ქალის სურნელი“.

საღამოს, ჩვეული ოსტატობით, უძღვებოდა მშვენიერი და ნიჭიერი ქალბატონი ცარო მარტიაშვილი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსი მეუფე დიმიტრი, მღვდელმსახურები, ეპარქიის დედები, მუნიციპალიტეტის საჯარო სამსახურებისა და კერძო სტრუქტურების, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები, რიგითი მოქალაქეები,

დასასრულს, მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ნონა ჯიბღაშვილმა მოწვეულ სტუმრებს მიულოცა გაზაფხულის მოსვლა, ქალბატონებს - მარტის დღესასწაულები, მადლობა გადაუხადა მათ მობრძანებისათვის და კეთილი სურვილებით დაემშვიდობა დამსწრე საზოგადოებას.

რა არის აუტიზმი და რა სიმპტომების არსებობის შემთხვევაში უნდა მივმართოთ ექიმს

2 აპრილს მსოფლიო აუტიზმის დღეს აღნიშნავს. რა არის აუტიზმი და რა სიმპტომების არსებობის შემთხვევაში უნდა მივმართოთ ექიმს?

- აუტიზმი არის ტვინის ე.წ. აშლილობა, რომელიც აზიანებს ადამიანის უნარ-ჩვევებს და ქცევას, იურთიერთოს სხვა ადამიანებთან. ის მიეკუთვნება ტვინის დაზიანებათა ჯგუფს, რომელსაც ეწოდება "აუტისტური აშლილობანი". ეს დაზიანებანი შეიძლება იყოს როგორც საშუალო სიმძიმის, ასევე მძიმედ გამოხატული. გამომწვევი მიზეზები დღემდე უცნობია.

- როდის ისმება აუტიზმის დიაგნოზი?

- იმისთვის, რომ დაისვას აუტიზმის დიაგნოზი, ბავშვი უნდა იყოს არანაკლებ 3 წლისა, სიმპტომები ერთიანდება სამ ძირითად ჯგუფად:

1. ადამიანებთან ურთიერთობის პრობლემა - აუტისტი ბავშვები ძნელად ურთიერთობენ სხვა ბავშვებთან. ხშირად ისინი არ რეაგირებენ სახის გამომეტყველებაზე და მიმიკაზე. თვალს არიდებენ თვალით-თვალში კონტაქტს. არ სიამოვნებთ შეხება. ასევე არ უყვართ სხვა ბავშვებთან კონტაქტი და თამაში.

2. კომუნიკაციის პრობლემა - აუტისტი ბავშვები, როგორც წესი, გაცილებით გვიან იწყებენ ლაპარაკს, ზოგიერთი მათგანი კი არასოდეს არ იწყებს მეტყველებას. მათ მშობლებს ხშირათ ჰგონიათ, რომ მათი შვილი ყრუა, თუმცა მათგან განსხვავებით, სიყრუის შემთხვევაში ბავშვები სხვადასხვა ხერხით, მაგალითად ხელებით, მიმიკით, ცდილობენ დაამყარონ კონტაქტი სხვა ადამიანებთან. აუტისტებს ეს არ ახასიათებთ.

3. შეზღუდული ინტერესები - აუტისტ ბავშვებს აქვთ ერთი რაიმე აკვიატებული ინტერესი. შედარებით მცირე ასაკში ეს შეიძლება იყოს სათამაშო, რომელიც ბრჭყვინავს ან ტრიალებს, სხვა სათამაშოების მიმართ კი იჩენენ გულგრილობას. უფრო მოზრდილ ასაკში კი ეს აკვიატებული საგანი შეიძლება ჩანაცვლდეს აკვიატებული გატაცებით: მაგალითად ამინდი, რიცხვები ან სპორტი. მათ ახასიათებთ ასევე გარკვეული რიტუალური ქცევები, მაგალითად ჭამა მხოლოდ სპეციალური ბრძანების შემდეგ, ან მხოლოდ ერთ ამოჩემებულ გზაზე სიარული, ამ რუტინის დარღვევა კი საშინლად აღიზიანებთ.

- რა სიმპტომების და გამოვლინებების შემთხვევაში უნდა მიმართოს მშობელმა ექიმს?

- გამოვლინებები, რომელსაც უნდა მიაქციოს მშობელმა ყურადღება შემდეგია:

• არ თამაშობს წარმოსახვით თამაშებს (მაგალითად თოჯინას აჭამოს საჭმელი და ა.შ.)

• არ აკეთებს აქცენტირებას მისთვის უცხო, საინტერესო მოვლენებზე (მაგალითად არ ინტერესდება თვითმფრინავით, რომელიც ცაზე მიფრინავს...)

• არ ინტერესდება საგნით ან მოვლენით, რომელზეც მთელი გარშემო მყოფები აკეთებენ აქცენტს.

• აქვს სხვა ბავშვებთან ურთიერთობის პრობლემა ან საერთოდ არ ურთიერთობს.

• თავს არიდებს თვალი-თვალში კონტაქტს.

• არ რეაგირებს დაძახებაზე ან მისდამი მიმართული საუბრის დროს ინტერესდება სხვა ხმებით.

• ინტერესდება სხვა ადამიანებით, მაგრამ ვერ ამყარებს კონტაქტს.

• იმეორებს მისდამი მიმართულ სიტყვებს ან ექოს.

• უჭირს აზრის ჩვეულებრივი სიტყვებით ან მოქმედებებით გადმოცემა.

• იმეორებს მოძრაობებს პერმანენტულად.

• უჭირს ადაპტირება, როცა მის ცხოვრებაში რაიმე იცვლება.

• აქვს სუნის, გემოს, შეგრძნების, ბგერის და მხედველობის აღქმის არადამახასიათებელი უცნაური გამოხატულებები.

• დაივიწყა უკვე დასწავლილი უნარ-ჩვევები (მაგალითად დაავიწყდა სიტყვები, რომელსაც ამბობდა).

იმ შემთხვევაში, თუ მშობელი ზემოჩამოთვლილიდან რამდენიმეს მაინც შეამჩნევს, საჭიროა მიმართოს ექიმს, რათა დროულად იქნას გამოვლენილი პრობლემა.

- შესაძლებელია თუ არა აუტიზმისგან განკურნება?

- აუტიზმის სრული განკურნება შეუძლებელია, თუმცა მისი ადრეული გამოვლენისა და შესაბამისი სპეციალისტების დახმარებით, უამრავი პრობლემის დაძლევაა შესაძლებელი.

ქართველი ახალგაზრდების უნიკალური გამოგონება - ხელთათმანი, რომელიც ვირტუალური სამყაროს სრულფასოვან წევრად გაქცევს

"ხელთათმანის გამოყენება შეიძლება სამხედრო სფეროში, რობოტიკაში და მედიცინაშიც. დღეს ექიმებს შეუძლიათ ჩაატარონ ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში ოპერაცია სპეციალური ,,ჯოისტიკების" საშუალებით, მაგრამ არ შეუძლიათ დისტანციურად იგრძნონ სხეულის ტემპერატურა და სიმკვრივე, რაც მნიშვნელოვანია მათთვის. ჩვენი ხელთათმნის მეშვეობით კი მათ ეს შეეძლებათ".

სამი წლის წინ თბილისში, თავისუფალ უნივერსიტეტში გამართულ პირველ ჰაკათონზე სამმა ახალგაზრდამ წარადგინა "ჯადოსნური ხელთათმანი", სახელად "ინგლავი" (InGlove), რითიც უშუალოდ დაუკავშირდა ვირტუალურ სამყაროს. ვინ არიან ეს ახალგაზრდები, როგორ შეაღწიეს ვირტუალურ სამყაროში და რა შეუძლია მათ ხელთათმანს? - ერთ-ერთი გამომგონებელთან - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის მიმართულების მეორე კურსის სტუდენტი გიორგი მეშველიანთან ინტერვიუს ჟურნალი "გზა" 31 მარტის ნომერში აქვეყნებს, რომლიდანაც ამონარიდებს გთავაზობთ.

გიორგი მეშველიანი:

- გუნდში 3 ადამიანი ვართ. ინტერაქტიული ხელთათმნის იდეა ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში ერთ-ერთს - დიმიტრი ცხოვრებაძეს გაუჩნდა და იმ მეგობრებს გაგვიზიარა, ვინც მსგავსი პროექტებით ვიყავით დაინტერესებული. დიმიტრიც ჩემსავით კომაროველია და სექტემბრიდან მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში გააგრძელებს სწავლას. ჩვენი ტექნიკური ლიდერი არის გიორგი გაბარაშვილი, აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტი და თვითნასწავლი პროფესიონალი ელექტროინჟინერი.

ჩვენი გამოგონების საშუალებით ადამიანებს შეუძლიათ, შეეხონ და იგრძნონ ვირტუალურ სამყაროში არსებული ობიექტები. ხელთათმანის თითებში დამონტაჟებულია ვიბრაციის ძრავები და კომპიუტერიდან წამოსული სხვადასხვა სიხშირის სიგნალი იმ ძრავას ამუშავებს, რა თითითაც ეხები ობიექტს, ნივთს სამგანზომილებიან სამყაროში. სხვადასხვა სიმყარის მატერიისთვის ვიბრაციის სიხშირეც განსხვავებულია. გარდა ამისა, ჩაყენებული გვაქვს ტემპერატურის უკუკავშირი, რისი საშუალებითაც სხვადასხვა ტემპერატურის ვირტუალური ობიექტების ტემპერატურას შევიგრძნობთ, ანუ ხელთათმანი გიკეთია ხელზე და როდესაც რაიმეს ეხები, ნამდვილი ხელიც გრძნობს.

- რამდენად უსაფრთხოა ხელთათმანი ადამიანისთვის, ვინც მას მოიხმარს ან, თუ ის სახიფათოა, როგორ შეიძლება დაზიანების თავიდან აცილება?

- დაზიანება გამორიცხულია იქიდან გამომდინარე, ხელი რომ არ დაგეწვას ან გაგეყინოს, ხელთათმანზე სპეციალური ლიმიტი ანუ ზღვარი გვაქვს დაწესებული. ლიმიტის გარეშე დაზიანება შესაძლებელია.

- გარდა კომპიუტერული თამაშების ვირტუალურ სამყაროსთან "ხელის ჩამორთმევისა", რას ფიქრობთ, სად და როგორ შეიძლება ინტერაქტიული ხელთათმანის გამოყენება?

- ძირითადი მიმართულება მაინც თამაშებია. მაგრამ ხელთათმნის გამოყენება შეიძლება სამხედრო სფეროში, რობოტიკაში და მედიცინაშიც. დღეს ექიმებს შეუძლიათ ჩაატარონ ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში ოპერაცია სპეციალური ,,ჯოისტიკების" საშუალებით, მაგრამ არ შეუძლიათ დისტანციურად იგრძნონ სხეულის ტემპერატურა და სიმკვრივე, რაც მნიშვნელოვანია მათთვის. ჩვენი ხელთათმნის მეშვეობით კი მათ ეს შეეძლებათ.

გამოგონება განვითარებადია და მომავალში ადამიანებს შეეძლებათ, ჩაიცვან მთლიანი ინტერაქტიული კოსტიუმი და მთელი სხეულით გახდნენ ვირტუალური სამყაროს ნაწილი. ოკულუსის საშუალებით ადამიანებს შეუძლიათ ჩაიხედონ ვირტუალურ სამყაროში. დღეს ინტერნეტით შეგვიძლია დავუკავშირდეთ ერთმანეთს, შევხედოთ, მოვუსმინოთ, მაგრამ არ შეგვიძლია, შევეხოთ ერთმანეთს. მომავალში ეს აუცილებლად შეგვეძლება. წარმოიდგინეთ, თქვენი მონატრებული მეგობარი მსოფლიოს მეორე ნახევარსფეროშია და გადატვირთული რეჟიმის გამო ერთმანეთის ნახვას ვერ ახერხებთ. ჩვენი მომავლის ტექნოლოგია ადამიანებს ამის შესაძლებლობას აუცილებლად მისცემს.

მონატრება

ელიოზ ყველაშვილი

გავიდა ორმოცი ცრემლიანი და ტკივილიანი დღე, ჩემო საყვარელო მამა. უშენოდ თითქოს გაიყინა ყველაფერი, დაგვრჩა ტკბილი მოგონებები, ჩემო თბილო, სიკეთით სავსე, ღიმილიანო მამიკო. ყველაფერი შენს თავს მაგონებს, რაც კი შენი ხელით არის გაკეთებული. ვერ დამიჯერებია, რომ აღარ გვყავხარ, კარებს რომ აღარ შემოხსნი და აღარ დამიძახებ, - ჩემო მაკა.

ავადმყოფობით დაღლილო, როგორ დაგვაობლე, ჩემო ტკბილო მამა, შენზე მოგონებებით იწყება დილა და მთავრდება დღე!

29 თებერვალი მეხის დაცემა იყო ჩვენი ოჯახისთვის. ჩემს მარის შენი იმედი ჰქონდა. ყოველდღე გიხსენებს-ჩემი ტკბილი პაპიკო, ჩემი ერთად-ერთიო.

დედას დიდი ტკივილი დაუტოვე, სულ ტირის და შენზე ლაპარაკობს. ნეტავი შემოგახედა შენს ოჯახში ,როგორი ობლები ვართ უშენოდ. იტყვიან ხოლმე, დრო მკურნალიაო, პირიქით-დრო ნაღველია, საყვარელ ადამიანს რომ დაკარგავ, დრომ როგორ უნდა განკურნოს. შენი ძმა ლევანიც გარდაიცვალა, ასე უცბად -ორმოც დღეში ორივე ძმა როგორ წაგიყვანათ უფალმა. თქვენს სახელს დავიწყება არ უწერია. მარად იცოცხლებთ ჩვენს გულებში. უფალმა ნათელში გამყოფოს, ჩემო ელიოზ!

შენი ოჯახი

ხსოვნა

გიორგი აბიათარი



ჩემო ერთადერთო სიხარულო, შვილო გიორგი. 5 აპრილს შენი დაბადების დღეა. ვაი, რა მწარეა დედისთვის ყოველი 5 აპრილი. შენ ხომ 26 წელი შეგისრულდებოდა. შვილო, 8 წელი გვაშორებს ერთმანეთს. ძალიან მიჭირს უშენობა, დედის ერთადერთო სიცოცხლე. შენ ხომ დედის სიყვარულს სამშობლოს სიყვარული ანაცვალე.

შვილო გიორგი, ჩემო სიცოცხლით სავსე შვილო, შენს მერე დედის დღეს არავის ვახსენდები. შენ ყოველთვის მოგქონდა მინდვრის ყვავილები და დიდი სიყვარულით და სიხარულით მეფერებოდი.

დედა გენაცვალოს, რაც დრო გადის, უფრო მენატრები. შენს სამარესთან ყოველთვის მოვლენ შენი ახლობლები, შენი კლასელები, რომელთაც არასოდეს არ ავიწყდები და მოგილოცავენ ყოველ დღესასწაულს.

რატომ მესიზმრე წყლის საფარველში,
მართლა შეწუხდი შვილო?
როგორ იქნება, რომ არ გიტირო
შენ ჩემო თვალის ჩინო.

დედიკო, სანამ მე ცოცხალი ვარ, ყოველთვის იფრიალებს საქართველოს დროშა, რომლისთვისაც შენ თავი გასწირე.

სულ მუდამ გენთოს სანთელი, გიო, გმირი ხარ საქართველოსი.

შენი დედა ლიზა **და**
შენი ახლობლები.

დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლა განახლებულ ოპერისა და ბალეტის თეატრს ეწვია

20 მარტს დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა ერთი ჯგუფი ქ. თბილისის ოპერისა და ბალეტის განახლებულ თეატრს ეწვია.

ჯგუფი დაესწრო ზაქარია ფალიაშვილის ოპერას „აბესალომ და ეთერი".

დიდი ხელოვნება შემეცნებაა, მხატრული შემეცნება. მიხარია, რომ მოდიან ახალი თაობები, რომლებშიც ასეთი მაღალი შემეცნების წყურვილები იხსნება.

ჩვენი მოსწავლეების შთაბეჭდილებები იხილეთ ჩვენს ფეისბუქის გვერდზე: www.facebook.com დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლა.

ხელოვნების სკოლის მიერ განხორციელებული ყველა ექსკურსია: მუზეუმებში, თეატრებში, საბალეტო და საოპერო სპექტაკლებზე, ახალი თაობების დიდი ინიციატივით ხდება. ამ ინიციატივებს დიდი სიხარულით ხვდება განყოფილების უფროსი ლია ხაჩიაშვილი და ორგანიზებას უკეთებს. მადლობა მას.

მინდა ვისარგებლო გარემოებით და განვაცხადო, რომ ხელოვნების სკოლა მომავალში აპირებს გახსნას „მაღალი ხელოვნების ინტერნეტ სალონი" ბავშვებისთვის და ახალგაზრდებისათვის, რათა ხელი შეუწყოს ახალი თაობების ორიენტაციას მაღალ ხელოვნებაში.

დედოფლისწყარო ხელოვნების სკოლის დირექტორი მარიამ კიკილაშვილი.

ულოცავენ!

მამაო ნიკოლოზ!

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად. უფალი გწყალობდეთ. მსუბუქად გეტარებინოთ სასულიერო პირის მძიმე ჯვარი.

დიდი სიყვარულით და პატივისცემით
თქვენი მრევლი

მაყვალა და გია ბოჭორიშვილებს!

გულწრფელად ვუერთდებით თქვენს სიხარულს შვილების-მანანას და ნიკას ბედნიერებასთან დაკავშირებით. ახალდაქორწინებულებს ვუსურვებთ ჯნმრთელობას, ოჯახურ სიმყუდროვეს და იმ დიდ სიყვარულს, რომელზედაც დამყარებულია ოჯახური ბედნიერება.

დიდი სიყვარულით დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები.

სოსო პოპიაშვილს!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის თანამშრომლები მეორე ქალიშვილის-თამარის დაბადებას ულოცავენ სოსო პოპიაშვილს. ახალდაბადებულს უსურვებენ ჯანმრთელობას და ნათელ მომავალს, მშობლებს კი-მისით გახარებას.

ლია ბაიდოშვილს!
ზურა ბოკლიკიშვილს!

გილოცავთ შვილიშვილის- პატარა კატოს დაბადებას. ახალდაბადებულს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ მომავალს და უფლის წყალობას.

დიდი სიყვარულით დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები.

ეთერ და გივი ტუხაშვილებს!

გილოცავთ შვილიშვილის-გიორგის დაბადებას. ახალდაბადებულს ვუსურვებთ ჯანმრთელი და ბედნიერი ბიჭი გაზრდილიყოს.

პატივისცემით დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები.

ვიოლეტა ნატროშვილს!

გილოცავთ დაბადების დღეს.გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, გახარებას შენს ლამაზ ოჯახთან ერთად, წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.

უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ.

პატივისცემით,
ზემო მაჩხაანის ამბულატორიის თანამშრომლები.

ვიოლეტა ნატროშვილს!

მთელი სულითა და გულით გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიმხნევეს, სიხარულს, სიყვარულს და ყოველივე კარგს პირად ცხოვრებაში. უფლის წყალობა და მფარველობა არ მოგკლებოდეს.

პატივისცემით,
ნიაზი და ლალი ჯანაშვილები, ნელი ნატროშვილი.

ვიოლეტა ნატროშვილს!

გვინდა ერთად მოგილოცოთ გაზაფხულის მობრძანება, ქალთა დღესასწაულები და 4 აპრილის საიუბილეო თარიღი. ექიმობასთან ერთად თქვენ მრავალმხრივი საქმიანობის ნიჭით დაგაჯილდოვათ უფალმა და შემოსავლების დიდ ნაწილს საზოგადოებრივ საქმიანობასა და ქველმოქმედებას ახმართ. ასე მხოლოდ რჩეულები თუ იქცევიან. გულითადად გილოცავთ იუბილეს და გისურვებთ, კიდევ მრავალი წელი ყოფილიყავით ერისა და ბერის სამსახურში. უფალი იყოს თქვენი ყველა წამოწყების შემწე.

პატივისცემით ასოციაცია „დედოფლისწყაროს ქალების" დამფუძნებლები

ვიოლეტა ნატროშვილს!

ვიოლეტა, თქვენ ჩვენი სამედიცინო ცენტრის ნაწილი ხარ, რადგან მრავალი წელი სწორედ ჩვენთან მუშაობას შეალიეთ. დღეს თქვენ მშობლიურ სოფელს ემსახურებით, მაგრამ ჩვენთვის მაინც ოჯახის წევრივით ხართ. გილოცავთ 4 აპრილის საიუბილეო თარიღს. ჯანმრთლობა, სიხარული და სამსახურებრივი შრომით დაღლის სიამოვნება არ მოგაკლებოდეთ. გაგახაროთ და გაგაფუფუნოთ ზეციერმა ძალამ თქვენს დიდ ოჯახში. მხოლოდ კარგი გვესმოდეს თქვენგან.

პატივისცემით სოფელ ოზაანის სამედიცინო ცენტრის მედპერსონალი

სპორტი

კუნგ-ფუ სანდა

ქ. თბილისში ჩატარდა ევრაზიის თასის გათამაშება, სადაც მონაწილეობდნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სპორტული გუნდები. ერთმანეთს ეჯიბრებოდა 130 სპორტსმენი. ზემო მაჩხაანის კლუბიდან ასპარეზობაში მონაწილეობას იღებდა სანდრო ნატროშვილი, რომელმაც ასახელა საქართველოც და ჩვენი მუნიციპალიტეტიც. მან ყველა ორთაბრძოლა ნოკაუტით დაამთავრა და, საბოლოოდ, პირველი ადგილის მფლობელი გახდა.

— — — — — — — — — —

5-26 მარტს მარნეულში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში „ბრძოლა K-1" წესებით, სადაც მონაწილეობა მიიღო ზემო მაჩხაანელმა სანდრო ნატროშვილმა. მან არც ამჯერად გაუმტყუვნა იმედი გულშემატკივრებს და ტურნირის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა 71 კგ. წონით კატეგორიაში.

გუნდის მწვრთნელია გენადი ნატროშვილი.

ყურადღება!

1994 წლიდან ლიცენზირებული ავტოსკოლა, რეგისტრირებული ქ. თბილისში, მოამზადებს და გადაამზადებს ტრანსპორტის მძღოლებს ქ. დედოფლისწყაროში და გასცემს სწავლების კურსის გავლის დამადასტურებელ მოწმობას. დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

593 11 24 15

სიახლე დედოფლისწყაროში

„სანო" - ცხოველთა კვებითი დანამატების მწარმოებელი უმსხვილესი გერმანული კომპანია უკვე საქართველოშია. ჰოლდინგი 42 წლის მანძილზე წარმატებით მოქმედებს მსოფლიო ბაზარზე და მომხმარებელს სთავაზობს უმაღლესი ხარისხის პროდუქციას, როგორიცაა მინერალური საკვები პრემიქსის სახით, კონცენტრირებული ამინოპროტეინების კომპლექსი. "სანოს" კონცეფციას წარმოადგენს ცხოველთა ჯანმრთელობის დაბალანსება მხოლოდ ჯანსაღი, არაგენმოდიფიცირებული კვებით, ყოველგვარი ქიმიკატების გარეშე.

გარდა მაღალი ხარისხის პროდუქტისა, გერმანელი სპეციალისტები მომხმარებელს გაუწევენ მუდმივ კონსულტაციებს, შეიმუშავებენ ინდივიდუალურ რეცეპტურას, დანერგავენ თანამედროვე ტექნოლოგიებს და ინოვაციებს მეცხოველეობაში. პროექტში ჩაერთვებიან და დასაქმდებიან მომავალი ქართველი სპეციალისტები, პროფესიულ დონეზე მომზადდებიან სერთიფიცირებული ცხოველთა კვების ტქნოლოგები, ვეტერინარები, კონსულტანტები.

დამატებითი ინფორმაციისთვის და "სანოს" პროდუქციის შესაძენად მიმართეთ ზოოვეტერინალურ მაღაზიას. დედოფლიწყარო, რუსთაველის ქ. №4. ავტოგასამართი სადგურის "სოკარის" მოპირდაპირე მხარეს

ამინდი — დედოფლისწყარო

ორშაბათი 04.04		სამშაბათი 05.04		ოთხშაბათი 06.04		ხუთშაბათი 07.04		პარასკევი 08.04		შაბათი 09.04		კვირა 10.04	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
3 °	2 °	7 °	6 °	8 °	7 °	10 °	8 °	11 °	10 °	14 °	12 °	12 °	10 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.